საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შესრულებული ნაშრომის პლაგიატის არსებობაზე შემოწმების წესი

1. ზოგადი დებულებანი

1.„საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შესრულებული ნაშრომის (სახელმძღვანელო, დამხმარე სახელმძღვანელო, მონოგრაფია, სტატია, სადოქტორო,) პლაგიატის არსებობაზე შემოწმების წესი“ (შემდგომში - წესი) შემუშავებულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანების, „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133 ბრძანების, სსიპ- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ეთიკის კოდექსისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების“ და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეცნიერების დეპარტამენტის დებულების საფუძველზე.

2. წესი ადგენს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში (შემდეგში - უნივერსიტეტი) პლაგიატის არსებობის გამოსავლენი კომპიუტერული ვებ პლატფორმა „Strikeplagiarism.com”-ის პროგრამის (შემდგომში პროგრამა) გამოყენების პროცედურებს, ნორმებს და განსაზღვრავს აღნიშნულ საქმიანობაში უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტთა უფლება-მოვალეობებს.

3.ინფორმაცია ნაშრომის პლაგიატზე შემოწმების პროცედურების შესახებ უნდა განთავსდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

2. ტერმინთა განმარტებები გადაწყვეტილებების მიღების თაობაზე

1. პლაგიატი – მეცნიერებისა და ხელოვნების დარგში სხვისი შემოქმედების, სხვისი იდეების და გამოგონებების მითვისება, თავის ნაშრომში სხვისი ნაშრომის გამოყენება ავტორის დაუსახელებლად, ავტორობის მითვისება. პლაგიატია, როდესაც ხდება ინტელექტუალური შრომის შედეგების არამართლზომიერი გამოყენება.
2. მსგავსების კოეფიციენტი – ნაშრომის ტექსტის სხვა ლიტერატურული წყაროების ტექსტებთან მსგავსების/იდენტურობის მაჩვენებელი. იგი გვიჩვენებს, თუ ნაშრომის რა ნაწილია (პროცენტებში) სხვადასხვა ლიტერატურულ წყაროებში არსებულ ტექსტებთან მსგავსი/იდენტური.
3. მსგავსების კოეფიციენტი (SC)1 – ნაშრომის ნაწილი (პროცენტებში), რომელიც მოიცავს სხვა ლიტერატურულ წყაროებში არსებულ არანაკლებ 5-სიტყვიან ფრაზებს.
4. მსგავსების კოეფიციენტი (SC)2 – ნაშრომის ნაწილი (პროცენტებში), რომელიც მოიცავს სხვა ლიტერატურულ წყაროებში არსებულ არანაკლებ 25-სიტყვიან მონაკვეთებს.
5. მსგავსების კოეფიციენტი (QC)3 – ნაშრომის ნაწილი (პროცენტებში), რომელიც მოიცავს სხვა ლიტერატურულ წყაროებში არსებულ ფრაზებს ციტატების სახით.
6. მსგავსების ანგარიში - ვებ პლატფორმა „Strikeplagiarism.com”-ის პროგრამის საშუალებით მომზადებული სტატისტიკური ანგარიში, ნაშრომის ტექსტის სხვა ლიტერატურული წყაროების ტექსტებთან მსგავსების შესახებ.
7. შემოწმების შედეგი - ვებ პლატფორმა „Strikeplagiarism.com”-ის პროგრამის საშუალებით მიღებული ნაშრომების შემოწმების შედეგი.
8. უფლებამოსილი პირი - პირი, რომელიც უფლებამოსილია უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესით მიიღოს ნაშრომი განსახილველად, გადააგზავნოს პროგრამის ოპერატორთან სხვა ლიტერატურული წყაროებში არსებულ ტექსტებთან მსგავსებაზე შესამოწმებლად და პროგრამის ოპერატორის მიერ მიღებული მასალებისა (შემოწმების შედეგი დამსგავსების ანგარიში) და ნაშრომის განხილვის შედეგად მიიღოს გადაწყვეტილება ნაშრომში პლაგიატის არსებობაზე. პირს უფლებამოსილება მიენიჭება საბჭოს/სადისერტაციო საბჭოს/სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის დარგობრივი კომისიის/სამეცნიერო ჟურნალის (კრებულის) რედკოლეგიის თავჯდომარის მიერ.

3. ვებ პლატფორმა „Strikeplagiarism.com“-ის გამოყენების თავისებურებები

1. უნივერსიტეტში დასაცავად მომზადებულ დისერტაციებში, უნივერსიტეტის ეგიდით გამომავალ სამეცნიერო ჟურნალებში და კრებულებში (მათ შორის კონფერენციების მოხსენებათა/თეზისების კრებულებში) გამოსაქვეყნებლად მომზადებულ სამეცნიერო სტატიებში, უნივერსიტეტის ეგიდით გამოსაქვეყნებლად მომზადებულ სახელმძღვანელოებში, მონოგრაფიებსა და სხვა სამეცნიერო ნაშრომებში პლაგიატის არსებობის გამოვლენის მიზნით გამოიყენება ვებ პლატფორმა“Strikeplagiarism.com”-ის პროგრამა.
2. პროგრამა არის კომპანია Plagiat.pl-ის ინტელექტუალური საკუთრება და მისი გამოყენება ან გავრცელება მფლობელის წერილობითი თანხმობის გარეშე აკრძალულია.
3. პროგრამა ახორციელებს ნაშრომის შედარებას ინტერნეტრესურსებში განთავსებულ საბიბლიოთეკო მონაცემთა ბაზებში არსებულ ლიტერატურულ წყაროებთან და გამოავლენს მსგავსი ფრაზების არსებობას.
4. პროგრამა ანალოგიური დანიშნულების სხვა პროგრამებთან შედარებით ხასიათდება შემდეგი უპირატესობებით:
   - სიმარტივით;
   - სისტემის დაცულობით;
   - შემოწმების მაღალი სიზუსტით;
   - პროგრამის მენიუ მორგებულია ქართულ, ინგლისურ, რუსულ და სხვა ენებზე;
   - შესაძლებლობელია Microsoft Word, PDF (არა დასკანირებული) ფორმატებში შესრულებული ნაშრომების შემოწმება.
5. ქართულ ენაზე შესრულებული ნაშრომის მიმართ აუცილებელი მოთხოვნაა “Sylfaen” შრიფტის გამოყენება.

4. პროგრამის ადმინისტრირება

1. პროგრამის ადმინისტრირებას ახორციელებს უნივერსიტეტის მეცნიერების დეპარტამენტი.
2. პროგრამის ადმინისტრირების მიზნით აღნიშნულ დეპარტამენტში გამოიყოფა სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირი - პროგრამის ადმინისტრატორი.
3. პროგრამის ადმინისტრატორის ფუნქციებია:
   - პროგრამის გამართულად ფუნქციონირება საუნივერსიტეტო მასშტაბით;

- პროგრამული ხარვეზის წარმოქმნის შემთხვევაში ვებ პლატფორმა **“Strikeplagiarism.com”**-ის სათავო ოფისთან დაკავშირება და ხარვეზის აღმოფხვრა;
- მსგავსების ანგარიშებისა და შემოწმების შედეგების შერჩევითი გადამოწმება, საბჭოს/სადისერტაციო საბჭოს/სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის დარგობრივი კომისიის/სამეცნიერო ჟურნალის (კრებულის) რედკოლეგიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების (დანართი 4) სტატისტიკური მონაცემების შეგროვება;
- გარეშე პირის (ნაშრომის არც ერთი თანაავტორი არ არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თანამშრომელი ან სტუდენტი) მომართვის საფუძველზე მისი ნაშრომის შემოწმება, ხელმოწერილი მსგავსების ანგარიშისა და შემოწმების შედეგის (ამონაბეჭდის) გაცემა;
- პროგრამის ოპერატორების საქმიანობის კონტროლის მიზნით ნაშრომების შერჩევით შემოწმება.

ადმინისტრატორი აღმოჩენილი დარღვევების შესახებ აცნობებს უნივერსიტეტის /სადისერტაციო საბჭოს/სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის დარგობრივი კომისიას/სამეცნიერო ჟურნალის (კრებულის) რედკოლეგიას, კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს დისციპლინარულ ზომების მისაღებად, რომლებიც გატარდება უნივერსიტეტის მიერ საქართველოს კანონმდებლობის და უნივერსიტეტის შიგა წესების შესაბამისად.

4. პროგრამის ადმინისტრატორი არის საკონტაქტო პირი უნივერსიტეტსა და კომპანია Plagiat.pl-ს შორის.
5. ნაშრომების პროგრამის საშუალებით შემოწმების პროცედურების განხორციელების მიზნით უნივერსიტეტის თითოეულ ძირითად საგანმანათლებლო ერთეულში (ფაკულტეტი) და დამოუკიდებელ სამეცნიერო კვლევით ერთეულში (ინსტიტუტი, ცენტრი) გამოიყოფა სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირი/პირები – პროგრამის ოპერატორი.
6. პროგრამის ოპერატორის ფუნქციებია:

- საბოლოო, აკინძული და დამოწმებული უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი ნაშრომების მიღება;
- ბეჭდური და ელექტრონული ვერსიების იდენტურობის შემოწმება;
- ნაშრომის ატვირთვა (შეყვანა) პროგრამაში და შემოწმების შედეგისა და მსგავსების ანგარიშის ამობეჭდვა;
- პროგრამაში ნაშრომის არასწორად ატვირთვის შემთხვევაში პროგრამის ადმინისტრატორის დაუყოვნებლივი ინფორმირება.

7. პროგრამის ადმინისტრატორს და პროგრამის ოპერატორებს გავლილი უნდა ჰქონდეთ ტრენინგი პროგრამის მართვის საკითხებზე.

5. ნაშრომის პლაგიატზე შემოწმების პროცედურა

1. ნაშრომის ავტორმა შესაბამის სადისერტაციო საბჭოში/დეკანატში/სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის დარგობრივ კომისიაში (შემდგომში – დარგობრივი კომისია)/სამეცნიერო ჟურნალის (კრებულის) რედკოლეგიაში (შემდგომში – რედკოლეგია), ინსტიტუტის/კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოში (შემდგომში - სამეცნიერო საბჭო) ნაშრომის დადგენილი წესით წარდგენისას სხვა დოკუმენტაციასთან ერთად, როგორც წესი, უნდა წარმოადგინოს უფლებამოსილი პირის სახელზე დაწერილი განცხადება ნაშრომში პლაგიატის არსებობაზე შემოწმების თხოვნით. განცხადებაში აღნიშნული უნდა იყოს, რომ ნაშრომის ბეჭდური და ელექტრონული ვერსიები იდენტურია, აქვე მითითებული უნდა იყოს გვერდების რაოდენობა და სიმბოლოების რაოდენობა. (**იხ. დანართი 1**).
2. უფლებამოსილი პირი სამსახურებრივი ბარათით (**იხ. დანართი 2**) მიმართავს შესაბამისი ფაკულტეტის/ინსტიტუტის/ცენტრის მიერ გამოყოფილ პროგრამის ოპერატორს. სამსახურებრივ ბარათთან ერთად პროგრამის ოპერატორს გადაეცემა ავტორის განცხადება, ნაშრომის ნაბეჭდი (აკინძული და დამოწმებული იხ. მე-4 მუხლის, მე-6 პუნქტი) და ელექტრონული (CD დისკზე) ვერსიები.

3. პროგრამის ოპერატორი წინასწარ (ნაშრომის პროგრამაში ატვირთვამდე) ამოწმებს რამდენად აკმაყოფილებს ნაშრომის ელექტრონული ვერსია პროგრამის საშუალებით ტექსტის შემოწმებისთვის არსებულ მოთხოვნებს.
4. შეუსაბამობის შემთხვევაში, ავტორს ეძლევა უფლება, 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში წარმოადგინოს კორექტირებული ელექტრონული ვერსია.
5. პროგრამისთვის შეუსაბამო ელექტრონული ვერსიის განმეორებით წარმოდგენის შემთხვევაში ნაშრომი განსახილველად არ მიიღება.
6. პროგრამისათვის კორექტული ვერსიის შემთხვევაში ოპერატორი ნაშრომს ატვირთავს (შეიყვანს) პროგრამაში ინტერნეტსაიტზე „Strikeplagiarism.com“.
7. ოპერატორი 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში ბეჭდავს შემოწმების შედეგს და ამზადებს მსგავსების ანგარიშს (იხ. დანართი 3). ნაშრომის ნაბეჭდ ვერსიაზე აკეთებს აღნიშვნას შემოწმების შესახებ.
8. ნაშრომში, სახელმძღვანელოების გარდა:
   ა) მსგავსების კოეფიციენტი (SC)1 არ უნდა აღემატებოდეს **50%-ს;**
   ბ) მსგავსების კოეფიციენტი (SC)2 არ უნდა აღემატებოდეს **5%-ს.**
   გ) მსგავსების კოეფიციენტი (QC)3 არ უნდა აღემატებოდეს **20%-ს.**
9. სახელმძღვანელოში:
   ა) მსგავსების კოეფიციენტი (SC)1 არ უნდა აღემატებოდეს 60%-ს;
   ბ) მსგავსების კოეფიციენტი (SC)2 არ უნდა აღემატებოდეს 10%-ს.
   გ) მსგავსების კოეფიციენტი (QC)3 არ უნდა აღემატებოდეს 25%-ს.
10. პროგრამის ოპერატორი განცხადების დასკანირებულ ვერსიას, ნაშრომის ელექტრონულ ვერსიას, შემოწმების შედეგს უგზავნის პროგრამის ადმინისტრატორს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის eflow სისტემის მეშვეობით.
11. განცხადება რჩება პროგრამის ოპერატორთან.
12. შემოწმების შედეგი და მსგავსების სრული ანგარიში (ამონაბეჭდი) გადაეცემა, როგორც ნაშრომის ავტორს ასევე უფლებამოსილ პირს.
13. უფლებამოსილი პირი ქმნის კომისიას, რომელიც განიხილავს წარმოდგენილ მასალებს, განიხილავს და ადგენს: ა) ნაშრომში ტექსტის დიდი ფრაგმენტების (პროგრამის მიერ

მონიშნული მინიმუმ 25 სიტყვა) შემცველობა, რომელიც პროგრამის მიერ იდენტიფიცირებულია, როგორც წყაროში არსებული ფრაგმენტის მსგავსი; ბ) ერთი და იგი წყაროდან ფრაზების დიდი რაოდენობით გამოყენება; გ) დეტალური მსგავსება ნაშრომისა და წყაროს ფრაზებს შორის.

ამზადებს ამ წესის მე-4 დანართით განსაზღვრულ დასკვნას. დანართი 4-ის ასლი გადაეგზავნება პროგრამის ადმინისტრატორს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის eflow სისტემის მეშვეობით.

14. სადისერტაციო საბჭომ, დარგობრივმა კომისიამ, სამეცნიერო ჟურნალის (კრებულის) რედკოლეგიამ უნდა დაადგინოს შემდეგი ფაქტები:
15. თუ ნაშრომი შეიცავს პლაგიატს და მსგავსების კოეფიციენტების სიდიდე აღემატება დასაშვებ ნორმას, ნაშრომი არ დაიშვება დაცვაზე/გამოსაქვეყნებლად.
16. სადისერტაციო საბჭო/დარგობრივი კომისია /რედკოლეგია/სამეცნიერო საბჭო პასუხისმგებელი არიან გადაწყვეტილებებზე, ნაშრომის შემოწმების შედეგად პლაგიატის აღმოჩენის ან მსგავსების კოეფიციენტების ნორმის დარღვევის შემთხვევაში.

6. პროგრამით მომსახურების პირობები

1. ნაშრომის (დისერტაცია, სახელმძღვანელო, მონოგრაფია, დამხმარე სახელმძღვანელო, სტატია) პლაგიატის არსებობაზე შემოწმება სავალდებულოა.
2. სადისერტაციო საბჭოში/ დეკანატში/ დარგობრივ კომისიაში /რედკოლეგიაში/ სამეცნიერო საბჭოში დადგენილი წესით ჩაბარებული ნაშრომის პლაგიატის არსებობაზე სავალდებულო შემოწმება უფასოა.
3. იმ შემთხვევაში, თუ ნაშრომის ავტორი მოინდომებს ნაშრომის წინასწარ შემოწმებას (მათ შორის განმეორებით, კორექტირების შემდეგ), მომსახურება ფასიანია (შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე).
4. ნაშრომის წინასწარ შემოწმება ავტორს შეუძლია 2-ჯერ.
5. სავალდებულო შემოწმების შემდეგ ნაშრომი განმეორებით აღარ შემოწმდება პლაგიატის არსებობაზე.

6. დისერტაციის, მონოგრაფიის, სახელმძღვანელოს, დამხმარე სახელმძღვანელოს, წინასწარი შემოწმების (მათ შორის განმეორებითი შემოწმების) ღირებულებაა 50 თეთრი/გვერდზე.
7. სამეცნიერო სტატიის და მოხსენების წინასწარი შემოწმების (მათ შორის განმეორებითი შემოწმების) ღირებულებაა 5 ლარი/გვერდზე.

7. აპელაცია

1. უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილებაზე უთანხმოების შემთხვევაში, ავტორს/დისერტანტს ან და მათ სამეცნიერო ხელმძღვანელს მომდევნო 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში უფლება ეძლევა ფაკულტეტის დეკანს ან ინსტიტუტის/ცენტრის დირექტორს/სადისერტაციო საბჭოს თავჯდომარეს მიმართოს აპელაციით.
2. დეკანი ან ინსტიტუტის/ცენტრის დირექტორი გადაწყვეტილებას ღებულობს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში, აპელაციით მიმართვის დღიდან.
3. უარყოფითი პასუხის შემთხვევაში სადისერტაციო საბჭო/ფაკულტეტი ან ინსტიტუტი/ცენტრი ნაშრომის წარმდგენის მიმართ იღებს დისციპლინარულ ზომებს, რომლებიც გატარდება უნივერსიტეტის მიერ საქართველოს კანონმდებლობის და უნივერსიტეტის შიგა წესების შესაბამისად.
4. სადისერტაციო საბჭოს/ ფაკულტეტის საბჭოს/ დარგობრივი კომისიის/ რედკოლეგიის/ სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება ამ მუხლით დადგენილი წესით ავტორს შეუძლია მხოლოდ ერთხელ.

8. გარეშე პირების მომსახურება

1. თუ ნაშრომის არც ერთი თანაავტორი არ არის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თანამშრომელი ან სტუდენტი და სურს საკუთარი ნაშრომის შემოწმება, განცხადებასთან (**იხ. დანართი 6**) და ნაშრომის ნაბეჭდ და ელექტრონულ (CD დისკზე) ვერსიებთან ერთად უნდა წარმოადგინოს მე-6 მუხლის თანახმად გამოანგარიშებული თანხის გადახდის ქვითარი.

2. ნაშრომს შეამოწმებს პროგრამის ადმინისტრატორი. იგი უზრუნველყოფს ხელმოწერილი შემოწმების შედეგის და მსგავსების ანგარიშის გაცემას 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.

დანართი 1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
.....
.....
ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს/დეკანის
სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის
დარგობრივი კომისიის
სამეცნიერო ჟურნალის (კრებულის)
რედკოლეგიის/ინსტიტუტის/
ცენტრის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს

ნაშრომის ავტორის/ავტორების სახელი, გვარი,
საგანმანათლებლო პროგრამა/თანამდებობა,
ელექტრონული ფოსტის მისამართი, ტელეფონი

განცხადება

გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სამსახურს, შეამოწმოს ჩემს/ჩვენს მიერ მომზადებული ნაშრომი პლაგიატის არსებობაზე.

ვადასტურებ/ვადასტურებთ, რომ:

1. ნაშრომი .....
   .....
   .....
   (დასახელება)
   მომზადებულია ჩემს/ჩვენს მიერ და იგი არ არღვევს მესამე პირთა საავტორო უფლებებს;
2. ნაშრომის ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსიები იდენტურია.
3. გვერდების რაოდენობა -
4. სიმბოლოების რაოდენობა -

....

თარიღი ხელმოწერა

დანართი 2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ფაკულტეტის/ინსტიტუტის/ცენტრის
“Strikeplagiarism”-ის პროგრამის
ოპერატორს.....

.....
ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს/დეკანს
სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის
დარგობრივი კომისიის
სამეცნიერო ჟურნალის (კრებულის)
რედკოლეგიის/ინსტიტუტის/
ცენტრის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის

სამსახურებრივი ბარათი

გთხოვთ, შეამოწმოთ ავტორის/ავტორების ..... მიერ მომზადებული ნაშრომი .....
.....

.....

..... პლაგიატის არსებობაზე.

1. ნაშრომის ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსიები იდენტურია.
2. გვერდების რაოდენობა -
3. სიმბოლოების რაოდენობა -

დანართი:

- ავტორის/ავტორების განცხადება;
- ნაშრომის ნაბეჭდი ვერსია;
- ნაშრომის ელექტრონული ვერსია (CD დისკზე).

....

თარიღი ხელმოწერა

დანართი 3

მსგავსების ანგარიში

ავტორი/ავტორები.....

ნაშრომის დასახელება .....
.....

.....

გვერდების რაოდენობა..... სიმბოლოების რაოდენობა.....
დარგი/სპეციალობა .....

სამეცნიერო ხელმძღვანელი (დისერტაციის შემთხვევაში).....

ფაკულტეტი/ინსტიტუტი/ცენტრი .....

სამეცნიერო ნაშრომის ტიპი:

- ☐ სადისერტაციო ნაშრომი;
- ☐ სტატია;
- ☐ მონოგრაფია;
- ☐ სახელმძღვანელო
- ☐ დამხმარე სახელმძღვანელო
- ☐ სხვა

პროგრამა Strikeplagiarism-ის საშუალებით მიღებულმა შემოწმების შედეგმა აჩვენა შემდეგი:

- ☐ მსგავსების კოეფიციენტი (SC1) შეადგენს ..…….. %-ს
- ☐ მსგავსების კოეფიციენტი (SC2) შეადგენს ……..... %-ს
- ☐ მსგავსების კოეფიციენტი (QC3) შეადგენს ……..... %-ს

დანართი:

- ☐ ავტორის განცხადება (ასლი)
- ☐ ნაშრომის ნაბეჭდი ვერსია
- ☐ ნაშრომის ელექტრონული ვერსია (CD დისკზე).
- ☐ შემოწმების შედეგი

....

თარიღი ოპერატორის ხელმოწერა

დანართი 4

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის .....
ფაკულტეტის სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის
დარგობრივი კომისიისსამეცნიერო ჟურნალის (კრებულის) რედკოლეგიის/ინსტიტუტის/
ცენტრის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის დასკვნა ნაშრომის შესახებ

ავტორი: .....

ნაშრომის დასახელება: .....
.....

.....

გვერდების რაოდენობა..... სიმბოლოების რაოდენობა.....
დარგი/სპეციალობა .....

ნაშრომის, მსგავსების ანგარიშის შედეგის განხილვის საფუძველზე გაკეთდა დასკვნა:

- ☐ ნაშრომი არ შეიცავს პლაგიატს. ნაშრომში გამოვლენილი მსგავსება დასაშვებია. ამრიგად, ნაშრომი მიიღება/დაიშვება დაცვაზე/გამოსაქვეყნებლად.
- ☐ ნაშრომი არ შეიცავს პლაგიატს. ამავე დროს, ნაშრომში გამოვლენილი მსგავსება აღემატება დასაშვებ ნორმას. ამრიგად, ნაშრომი არ დაიშვება დაცვაზე/არ გამოქვეყნდება
- ☐ სამეცნიერო ნაშრომი შეიცავს პლაგიატს. ამრიგად, ნაშრომი არ დაიშვება დაცვაზე/არ გამოქვეყნდება.

დადასტურება:

.....
.....
.....
.....
.....
.....
.....

..... ----------

თარიღი სადისერტაციო საბჭოს თავჯდომარის/დეკანის/
დარგობრივი კომისიის/რედკოლეგიის/
სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის ხელმოწერა

დანართი 5

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
.....
.....
ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს/დეკანს
სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის
დარგობრივი კომისიის/
სამეცნიერო ჟურნალის (კრებულის)
რედკოლეგიის/ინსტიტუტის/
ცენტრის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს

ნაშრომის ავტორის/ავტორების სახელი, გვარი,
საგანმანათლებლო პროგრამა/თანამდებობა,
ელექტრონული ფოსტის მისამართი, ტელეფონი

განცხადება

გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სამსახურს, **განმეორებით** წინამდებარე, წინასწარ) შეამოწმოს ჩემს/ჩვენს მიერ მომზადებული ნაშრომი პლაგიატის არსებობაზე.

ვადასტურებ/ვადასტურებთ, რომ:

4. ნაშრომი .....
   .....
   .....
   (დასახელება)
   მომზადებულია ჩემს/ჩვენს მიერ და იგი არ არღვევს მესამე პირთა საავტორო უფლებებს;
5. ნაშრომის ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსიები იდენტურია.
6. გვერდების რაოდენობა -
7. სიმბოლოების რაოდენობა -

   დანართი:

   - ☐ ნაშრომის ნაბეჭდი ვერსია;
   - ☐ ნაშრომის ელექტრონული ვერსია (CD დისკზე);
   - ☐ შესაბამისი საფასურის გადახდის ქვითარი.

....
თარიღი ხელმოწერა

დანართი 6

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
რექტორს, ბატონ არჩილ ფრანგიშვილს

ნაშრომის ავტორის/ავტორების სახელი, გვარი,
პირადი ნომერი, ელექტრონული ფოსტის
მისამართი, ტელეფონის ნომერი

განცხადება

ბატონო არჩილ,

გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სამსახურს, შეამოწმოთ ჩემს/ჩვენს მიერ მომზადებული ნაშრომი სხვა ლიტერატურული წყაროების ტექსტებთან მსგავსების არსებობაზე.

ვადასტურებ/ვადასტურებთ, რომ:

1. ნაშრომი .....
   .....
   (დასახელება)
   მომზადებულია ჩემს/ჩვენს მიერ და იგი არ არღვევს მესამე პირთა საავტორო უფლებებს;
2. ნაშრომის ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსიები იდენტურია.
3. გვერდების რაოდენობა -
4. სიმბოლოების რაოდენობა -

   დანართი: ნაშრომის ნაბეჭდი ვერსია;
   ნაშრომის ელექტრონული ვერსია (CD დისკზე);
   შესაბამისი საფასურის ..... ლარი გადახდის ქვითარი.

....

თარიღი ადმინისტრატორის ხელმოწერა

მომსახურების ხელშეკრულება #

ქ. თბილისი -----/------/2018წ.

1. **ხელშეკრულებისმხარეები**

ერთის მხრივ სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, ქეთევან ქოქრაშვილის სახით, შემდგომში „შემსრულებელი“ დამეორეს მხრივ,---------- ---------- სახით, შემდგომში „დამკვეთი“, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით და ვთანხმდებით შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს---------- ---------- (შემდგომში „მომსახურება“).

3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

3.1 შემსრულებელი ვალდებულია დამკვეთს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება გაუწიოს ჯეროვნად და კეთილსინდისიერად.

3.2 მხარეთა წერილობითი შეთანხმებით შემსრულებელს შეუძლია სამუშაოს შესრულებაში ჩართოს მესამე პირები. ამ შემთხვევაში შემსრულებელი ისევე აგებს პასუხს მათ მოქმედებაზე, როგორც საკუთარი მოქმედებისათვის.

3.3. დამკვეთი ვალდებულია, აუნაზღაუროს შემსრულებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს ღირებულება.

4. შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება

4.1. დამკვეთი შემსრულებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებისათვის უხდის ----------ლარს, მომსახურების გაწევამდე.

5. მომსახურების მიწოდების წესი და პირობები

5.1. დამკვეთის მიერ ინფორმაციის მიწოდება ხდება შემსრულებლის იურიდიულ მისამართზე.

5.2. გაწეული მომსახურების მიღება დასტურდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელსაც ხელს აწერენ მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლები.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

6.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე.

6.2. დამკვეთს უფლება აქვს ნებისმიერ დროს ვადაზე ადრე მოშალოს ეს ხელშეკრულება, მაგრამ ამ შემთხვევაში იგი ვალდებულია შემსრულებელს აუნაზღაუროს შესრულებული სამუშაოს ღირებულება და ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი.

6.3. ხელშეკრულების მოქმედების ვადა იწყება ხელმოწერის დღიდან და ძალაშია----------

6.4. ხელშეკრულების მოქმედების ვადაზე ადრე შეწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წინასწარი წერილობითი შეთანხმებით. შეწყვეტის შესახებ მათ ერთმანეთს უნდა აცნობონ 5 სამუშაო დღით ადრე მაინც.

6.5. იმ შემთხვევაში თუ ფორსმაჟორული გარემოებების მოქმედება გრძელდება 30 დღეზე მეტ ხანს ან მისი დადგომისთანავე ცხადი გახდა, რომ გაგრძელდება 20 დღეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ, მოითხოვონ ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა.

6.6. ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები წყდება მხარეთა წერილობითი შეთანხმებით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6.7. ხელშეკრულება შესრულებულია 2 ეგზემპლარად ქართულ ენაზე და თითოეულ მათგანს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

6.7. ნებისმიერი ცვლილება ფორმდება წერილობითი ფორმით და წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

7. დავის მოწესრიგება

7.1. წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების პროცესში წარმოშობილი ყველა უთანხმოება უნდა მოწესრიგდეს მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით.

7.2. იმ შემთხვევაში, თუ მხარეთა შორის წარმოშობილი დავის და უთანხმოების მოგვარება შეუძლებელია მოლაპარაკების გზით, მისი გადაწყვეტა ხდება სასამართლოს მეშვეობით.

8. მხარეთა რეკვიზიტები

დამკვეთი	**შემსრულებელი**
----------	სსიპსაქართველოსტექნიკურიუნივერსიტეტი
	მის:ქ.თბილისი 0175, კოსტავასქ. #77, ს.კ 211349192
პ.ნ/ს/კ ----------	მიმღებისბანკი: სახელმწიფოხაზინა
	მიმღებისდასახელება: ხაზინისერთიანიანგარიში
მის: ----------	ბანკის კოდი TRESGE22
	მიმღებისანგარიში: 708977259
	ადმინისტრაციისხელმძღვანელი
----------	----------კარ ლ ო კო პალ იანი
(ხელმოწერა)	----------#-----“

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/152

ქ. თბილისი 12 ივნისი 2019

სტუ-ში ფუნქციონირებად „plagiarism.com“ პროგრამის შემოწმების წესებში ცვლილებების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, სტუ-ის მეცნიერების დეპარტამენტის ხელმძღვანელის, დავით თავხელიძის მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 12 ივნისის №01-05-02/12 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. მოწონებულ იქნეს სტუ-ის სამეცნიერო დეპარტამენტის მიერ მომზადებული „plagiarism.com“-ის პროგრამის ახალი რედაქცია (იხ. „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შესრულებული ნაშრომის პლაგიატის არსებობაზე შემოწმების წესის“ რედაქტირებული ვარიანტი, რომელიც თან ერთვის);
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**